07/078

გორის მუნიციპალიტეტის მერია

KA990174586144218

საქართველო, გორი 1400, გ. ფერაძის 5; ს/კ 218086087

№ **01/20555** **05 / დეკემბერი / 2018 წ.**

სსიპ-საქართველოს საკანონმდებლო
მაცნეს თავჯდომარეს ბატონ ნიკა ახალბედაშვილს

ბატონო ნიკა,

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის"ზ" და 21-ე მუხლის 1^1 პუნქტის "დ" ქვეპუნქტების, ასევე "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 6 დეკემბრის №225 ბრძანების საფუძველზე, გთხოვთ უზრუნველყოთ გორის მუნიციპალიტეტის მერიის :საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 49-ე მუხლით განსაზღვრული ანგარიშის სსიპ-საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერძე (www.matsne.gov.ge) გამოქვეყნება.
აქვე გაცნობებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერია გაწეული მომსახურების ანაზღაურებას უზრუნველყოფს ინვოისისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
ამასთან, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე თავზარაშვილი.

დანართი 2 ფურცლად.

პატივისცემით,

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

კონსტანტინე თავზარაშვილი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიში 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის დეკემბრამდე

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 217 განცხადება შემოვიდა. აქედან 217 მოთხოვნა დაკმაყოფილდა. 0 განცხადება არ დაკმაყოფილდა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების 0 შემთხვევა დაფიქსირდა.
საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა დაწესებულებაში არ შემოსულა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში კულტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის გიორგი ღვინიაშვილის მიერ, (გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი). გადაწყვეტილებათა რაოდენობა 217, მათ შორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება 0. გორის მუნიციპალიტეტის მერიას სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია. სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯი არ გაწეულა. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ფაქტი არ ყოფილა.
გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის წლიური ანგარიშს წარმოგიდგენთ აგრეთვე ცხრილის ფორმით:

შემაჯამებელი კომენტარი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად გორის მუნუციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის პროცესების შეჯამება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების /ფაქტების კომენტირება:

2017 წლის დეკემბრიდან შემდგომ პერიოდში გორის მინუციპალიტეტის მერიაში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 217 განცხადება, რომელსაც პასუხი გაეცა დაუყონებლივ ან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში.

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	217(ორასჩვიდმეტი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაიობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	217(ორასჩვიდმეტი)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0(ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხის შესახებ	0(ნული)
გორის მუნუციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება	0(ნული)